

ანჯიმაზღეისჯუკი კოდეშიკის ჟილოსოჟიუკი დასაბუთება უკვედას ქაკთუდ მნაკრობაში

1

ახლაღალმოცენებულ ქრისტიანობას რომის იმპერიაში წარმართობამ: სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. ეს ბრძოლა ორნაირი იყო: ფიზიკური და ლიტერატურული. ხელისუფლებამ და ოფიციალურმა საზოგადოებრიობამ მოინდომა ძირფესვიანად აღმოფხვრა ამ ახალი რელიგიური მოძღვრებისა, ამიტომ ქრისტიანებს შეუბრალეზლად სდევნიდნენ, აწამებდნენ და ჟლეტდნენ. ამას დაემატა ლიტერატურული ბრძოლა: წარმართული ფილოსოფიის წარმომადგენელნი ქრისტიანების წინააღმდეგ წერდნენ სპეციალურ შრომებს, რომლებშიაც ფილოსოფიურად აკრიტიკებდნენ ამ მოძღვრებას და მის მიმდევრებს თვლიდნენ ისეთ ადამიანებად. რომელთაც არ აქვთ არც ნამდვილი რელიგიური რწმენა, არც ზნეობრივი პრინციპები: ისინი მათ მიაჩნდათ არსებული სახელმწიფო წყობილების მოწინააღმდეგე რევოლუციონერებად. ამით ისინი ამართლებდნენ ქრისტიანების დევნას და მათ წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიულ ზომებს.

თავისთავად იგულისხმება, ქრისტიანები მიმართავდნენ ხოლმე თავდაცვითს ზომებს, რომელთა შორის ლიტერატურულ საქმიანობას უკანასკნელი ადგილი არ ეკავა. თავიანთი წრიდან მათ გამოყავდათ ისეთი ადამიანები, რომელთაც მიღებული ჰქონდათ ფილოსოფიური განათლება წარმართულ სკოლებში და უნარი შესწევდათ პასუხი გაეცათ მოწინააღმდეგეებისათვის მათივე იარაღით. ისინი წერდნენ თხზულებებს, რომლებშიაც არღვევდნენ წარმართთა ბრალდებებს და ამართლებდნენ ქრისტიანობას ფილოსოფიურად და მორალურად. ამასთან ერთად ისინი ამჟღავნებდნენ წარმართული რელიგიისა და კულტის სისულელეს, ღმერთების შესახებ მითოლოგიურ თქმულებათა გულუბრიყვილობას და იმ დროს გაბატონებულ ფილოსოფიურ სისტემათა სუსტ მხარეს. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ მეორე საუკუნიდან რომში იწყებანამდვილი პოლემიკა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. ქრისტიანული პოლემიკის წარმომადგენელნი ცნობილნი არიან ამ დროს აპოლოგეტების სახელით.

ასეთი იყო მდგომარეობა რომის იმპერიაში, რაც შეეხება საქართველოს, ქრისტიანობას აქაც უნდა შებრძოლებოდა ადგილობრივი წარმართობა, და

რომ ის მას მართლაც ებრძოდა, ჩანს თუგინდა: „ცხრათა ყრმათა კოლაელთა მარტვილობიდან“. ლიტერატურულ ძეგლებში, თუ ამ პატარა თხზულებას არ მივიღებთ მხედველობაში, არ შენახულა ცნობა იმის შესახებ. რომ ეს ბრძოლა ეწარმოებინოს ადგილობრივ ეროვნულ ხელისუფლებას, აქ მებრძოლთა როლში გამოდიან გარეშე, დამპყრობი ძალები, თავდაპირველად ცეცხლთაყვანისმცემელი (მაზდეისტური) ირანის მარზპანები, ხოლო შემდეგ მაჰმადიანური არაბეთის ამირები. რადგანაც ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანას პოლიტიკურად და კულტურულად აკავშირებდა ირანისა და არაბეთის მოწინააღმდეგე ქრისტიანულ ბიზანტიასთან. უკანასკნელნი ყოველწონეს ხმარობდნენ. რომ ამოეფხვრათ აქ ქრისტიანობა, გაეგრცვლებინათ თავიანთი რელიგია. მაზდეიანობა და მაჰმადიანობა და ამ გზით დასახელებული კავშირი ბიზანტიასთან მოესპოთ. აქედან გასაგებია ჩვენში ბრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ. ბრძოლა, რომელიც არ ზოგავდა არაფერს და არავის. პირველ რიგში ეს უნდა ვთქვათ ცეცხლთაყვანისმცემლობის შესახებ. რომელიც შეცვალა ჩვენში ქრისტიანობამ. მაზდეიანობა ჩვენში თანდათან ძლიერდებოდა. ამასთან ერთად ძლიერდებოდა მისი ბრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ: განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ამ ბრძოლამ V—VI საუკუნეებში მიიღო. ცეცხლთაყვანისმცემლობა ჩვენში ქრისტიანობას ებრძოდა არა მარტო ფიზიკურად, არამედ ლიტერატურულადაც. მემატთანე გადმოგვცემს. რომ არჩილ მეფემ — დასვა ეპისკოპოზი, სახელით მობიდანის, რომელიც იყო მოგუი უსჯულოდ... რომელი ფარულად წერდა წიგნებსა ყოველისა საცთურისასა“¹. ამ ბრძოლას, რასაკვირველია, გულხელდაკრეფილი არც ქართველები უყურებდნენ. ისინიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ და. რამდენადაც შეეძლოთ. ებრძოდნენ კიდევაც. მაგრამ ეს ბრძოლა თავდაპირველად. V საუკუნეში, ფიზიკური ხასიათისაა: როდესაც ძალას მოიკრეფდნენ. ცეცხლთაყვანისმცემელთა მოძღვრებს ან „გაასხამდენ“, ესე იგი—გააძევებდნენ ქართლიდან. ანდა მათ თხზულებებს ცეცხლში სწვავდნენ. მაგალითად, ისტორიკოსის სიტყვით, სწორედ ასეთი ბედი ეწია მობიდანის თხზულებებს: „შემდგომად დაწუა ყოველი წერილი მისი ქეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელმაო“, — აშობს ისტორიკოსი². მეექვსე-მეშვიდე საუკუნიდან ქართველები ლიტერატურულ იარაღსაც ჰკიდებენ ხელს: ეს იარაღი მათ პირველ ხანებში მეზობელი ბიზანტიიდან შემოაქვთ. მხოლოდ იყენებენ მას ადგილობრივი, ქართული პირობების შესაბამისად. უნდა შევნიშნოთ. რომ საგანგებო, სპეციალური თხზულებები ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ არც ბიზანტიასა და რომში იწერებოდა. ვინაიდან იქაურ ქრისტიანობას ცეცხლთაყვანისმცემლობასთან უშუალოდ საქმე არ ჰქონია. მხოლოდ აპოლოგეტები, რომელნიც ანთროპომორფისტულსა და ნატურალისტურ რელიგიებს განაქიქებდნენ, სხვათა შორის, გაკვრით ეხებოდნენ ცეცხლის

¹ ქართლის ცხოვრება—მარიამ დედოფლ. გვ. 120. ეს მობიდანის თუ „მოგუი“ არ იყო, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველ შემთხვევაში, წარმომადგენელი იყო ისეთი მწვალებლობისა, რომელშიაც ადგილი ჰქონდა ცეცხლთაყვანისმცემლობის ელემენტებს.

² ქართლის ცხოვრება—მარიამ დედოფლ. გვ. 120.

სტიქიონსაც, რომელიც მთავარი საფუძველია მაზდეიანობისა. ქართველი მწერლები მაზდეიანობასთან ბრძოლაში იყენებდნენ სწორედ ამგვარ მასალას, რომელსაც ურთავდნენ ხოლმე იმ პირთა „მარტვილობაში“, რომელნიც მაზდეიანობის მსხვერპლი გახდნენ ჩვენში.

2

იმ თხზულებათა შორის, რომელნიც ბრძოლას აწარმოებენ წარმართობის სხვადასხვა სახესთან, კერძოდ მაზდეიანობასთანაც, ყველაზე ადრინდელი და მნიშვნელოვანია აპოლოგია ათინელი ფილოსოფოსის არისტიდესი. არისტიდეს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ შენახულა, ვიცით მხოლოდ, რომ თავდაპირველად ის ყოფილა გამოჩენილი ფილოსოფოსი ათინაში, იერონიმეს სიტყვით — *philosophus eloquentissimus*, — მერე ქრისტიანობაში გადასულა და მიზნად დაუსახავს თავისი ნიჭი. ცოდნა და განათლება გამოეყენებია ქრისტიანობის დასაცავად. ამ მიზნით მას დაუწერია შესანიშნავი აპოლოგია¹, რომელიც 125 წლის მახლობლად მიუერთმევია იმპერატ. ადრეანესათვის (არის ისეთი შეხედულებაც, ვითომც ადრესატი იყოს იმპერ. ანტონინე). იმპერატორს აპოლოგია გულთბილად მიუღია: ეს იმით აიხსნება, რომ ადრეანე ეკუთვნოდა რომის იმპერატორთა იმ რიცხვს. რომელნიც შედარებით ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ქრისტიანობისადმი. თუ მათ დროს ქრისტიანები იდევნებოდნენ, ყოველ შემთხვევაში არა მათი უშუალო ბრძანებით².

ეს თხზულება ხელში ჰქონია მეოთხე საუკუნეში ისტორიკოს ევსევი კესარიელს³: ევსევის შემდეგ მის შესახებ ლაპარაკობს ნეტარი იერონიმე 392 წელს დაწერილ თხზულებაში *De viris illustribus*, c. 20. ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში მეექვსე საუკუნიდან, მისი კვალი უკვე აღარსად ჩანდა და ის დაკარგულად ითვლებოდა ბერძნულ მწერლობაში. მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულში მეცნიერთა შეერთებული ძალდონით შესაძლებელი გახდა მისი რესტავრაცია. 1878 წელს მხიტარისტებმა 981 წლის ხელნაწერში იპოვეს და გამოსცეს მისი დასაწყისი ნაწილი. სომხური თარგმანი შესრულებულია მეხუთე საუკუნეში სირიულიდან. 1889 წელს Rendel Haris-მა სინას მთაზე VI—VII საუკუნის ხელნაწერში აღმოაჩინა სირიული თარგმანი მთელი აპოლოგიისა, შესრულებული მეოთხე საუკუნის ნახევარში ბერძნულიდან (თუმცა ზოგიერთები: Seeberg, Zahn, Egli, Henneke ფიქრობენ, რომ თხზულება სირიულ ენაზეა დაწერილი). ამის შემდეგ Armitage Robinson-მა „ბალაგარიანის“ დღეს ცნობილს ბერძნულ რედაქციაში აღმოაჩინა მთელი აპოლოგია⁴. დღეს-

¹ ცნობები მის შესახებ ამომწურავი სახით მოცემულია Bardenhewer-ის წიგნში: *Geschichte der altkirchlichen Literatur*, I, S. 187—202, 1913.

² იერონიმეს *De viris illustribus*, Quadratus, ევსევი კესარიელი, *Historia Ecclesiastica* IV, 9.

³ *Historia Ecclesiastica* IV, 3.

სომხური ტექსტი რუსულად თარგმნა ნ. ემინმა, *Переводы и статьи*, стр. 252—255, 1897 г.

⁴ Migne, PG. t. 96, col. 1103 A—1124 B, თავი 26 (ბოლო) და 27; ქართულ „ბალაგარიანის“ ეს აპოლოგია არაა.

დღეობით მეცნიერების განკარგულებაშია მთელი აპოლოგია ორი რედაქციით: სირიულით და ბერძნულით, ორივე რედაქცია გამოსცა 1891 წელს R. Harris-მა¹. მეცნიერებაში დღეს გარკვეულია, რომ ავტორის ხელიდან გამოსულ ტექსტთან უფრო ახლო უნდა იდგეს სირიული თარგმანი. რაც შეეხება „ბალავარიანში“ შესულ ბერძნულ ტექსტს, ის, როგორც შემადგენელი ნაწილი რომანისა. შეხამებული და შეგუებულია რომანის მიზანთან. ამიტომ აქ ზოგი რამ გამოკვეთულია. ზოგი შეცვლილია და ჩამატებული. ზოგიერთი ადგილი გადატანილია რომანის სხვადასხვა ნაწილში.

აღნაგობა და მოკლე შინაარსი აპოლოგიისა ასეთია:

თავში ავტორი ლაპარაკობს ერთი ღმერთისა და მისი თვისებების შესახებ. მერე განიხილავს ოთხ რელიგიას. რომელნიც ცნობილნი იყვნენ მაშინ: ესენია რელიგია ბარბაროსების (ქალდეველებისა და ეგვიპტელების). ელინების. ებრაელებისა და ქრისტიანების. ქალდეველნი აღმერთებენ სტიქიონს. ბუნების მოვლენებს, როგორცაა ცა. ქვეყანა, წყალი, ცეცხლი, ქარი. მზე. მთვარე, ადამიანი; არცერთი ამათგანი არ არის ღმერთი. არამედ ქმნილებაა მისი. ელინთა ღმერთებია: კრონოსი, ზევსი, ჰეფესტოსი, ერმი, ასკლეპიოსი. არე, დიონისე, ჰერაკლი, აპოლონი. არტემიდა, აფროდიტა, ადონისი: არცერთი ამათგანი არ შეიპლება მიჩნეულ იქნეს ღმერთად. ეგვიპტელთა ღმერთებია: იზიდა, ოზირისი, ტიფონი. არე. აგრეთვე ყოველგვარი ცხოველი და მცენარე; არ შეიძლება ესენი ჩაითვალოს ღმერთად.

ებრაელნი (ამათ შესახებ შედარებით მოკლედ ლაპარაკობს) უფრო ახლო დგანან ქეშმარიტებასთან, მაგრამ ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ გარეგნობას, თან მათ უარყვეს მესია—ქრისტე.

ქრისტიანობასთან დაკავშირებით მოკლედ მოგვითხრობს ქრისტიანობის წარმოშობას და ახასიათებს მის დოგმატიკურსა და მორალურ მოძღვრებას; ეს არის ნამდვილი. ქეშმარიტი რელიგია,—ასკენის ავტორი².

აპოლოგიაში ავტორს ხშირად მოყავს ბერძენ ფილოსოფოსთა დებულებანი, ასე რომ აქ მოცემულია პირველი ცდა ქრისტიანობის დაახლოებისა ბერძნულ ფილოსოფიასთან.

3

არისტიდეს აპოლოგია იველს საქართველოში არა მარტო ცნობილი, გამოყენებულიც კი ყოფილა. ეს მოულოდნელი არაა, რადგანაც როგორც ზე-

¹ ტექსტის თარგმანისა. გამოცემებისა და სახლვარგარეთული სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ იხ. Vardenhewer, 188—791.

² აპოლოგიის რუსული თარგმანები: Н. О. Э м и и (სომხურის), Отрывки из аполония Аристиды, христианского философа (Переводы и статья, стр. 249—255). Покровский А., Философ Аристид и его недавно открытая апология (Богословский Вестник, 1898 г. Апрель, стр. 1—25). „ბალავარიანში“ ბერძნული ტექსტისა: Антопий, Сказание жизни Варлаама и Иоасафа, Одесса, 1888. აპოლოგიის ტექსტს მოვიყვანთ ხოლმე რუსული თარგმანით, რომელსაც ახასიათებს ბერძნულ-სირიულ დედანთან სიახლოვე და სიზუსტე.

ბოთ აღვნიშნეთ. იგი მეოთხე საუკუნეში სირიულად ყოფილა თარგმნილი, ხოლო ნებუთეში მომიჯნავე. სეზობელ სომხეთში. ამ აპრიორულ მოსაზრებას ადასტურებს გაღრმავებული შესწავლა უძველესი ქართული ძეგლებისა.

ქრონოლოგიურად პირველი ორიგინალური ქართული ლიტერატურული ძეგლი. რომელშიაც გამოყენებულია არისტიდე ფილოსოფოსის აპოლოგია, არის ევსტათი მცხეთელის მარტვილობა¹.

ეს მარტვილობა. როგორც ცნობილია, დაწერილია მეექვსე საუკუნის სანოცდაათიან წლებში ქართველი ქრისტიანის მიერ, რომლის ვინაობა ჩვენ არ ვიცით. ეს. შეიძლება ითქვას, ერთადერთი თხზულებაა ამ პერიოდიდან, რომელსაც გადაკეთება არ განუცდია და ძველი სახე შედარებით კარგად შემოუნახავს. აქ ნოთხრობილია. თუ როგორ აწამა ირანის მარზპანმა მცხეთაში გადმოსახლებული ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსი გვირობანდაკი, რომელსაც ქრისტიანობის მიღების შემდეგ ევსტათი დარქმევია და რომელიც არ დაძორჩილებია მოთხოვნას უკანვე დაბრუნებოდა მამაპაპეულ მაზდიანობას. თხზულებანი მოთავსებულია მთელი დიალოგი, რომელშიაც ნაჩვენებია—როგორ ანართლებს ქრისტიანობას ევსტათი და რა საფუძველზე უარყოფს ის ცეცხლთაყვანისმცემლობას. აქ, ამ დიალოგში, გამოყენებულია არისტიდე ფილოსოფოსის აპოლოგია არა მარტო აზრობლივად, არამედ ზოგ შემთხვევაში სიტყვიერადაც. გამოყენება ევსტათის მარტვილობაში პირველყოფილი ქრისტიანობის ისეთი ძეგლისა, როგორიცაა არისტიდეს აპოლოგია, გასაკვირველი არაა, რადგანაც მარტვილობის ავტორი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ამჟღავნებს ასეთი ძველი წყაროებისადმი. მაგალითად, ამ თხზულების ბიბლიურ ნაწილში გამოყენებულია თუ ტატიანეს „დიატესარონი“ (II ს.) და „დიდახე“ (IV ს.) არა, როგორც პროფ. ა. ჭარნაკი ფიქრობდა², ე. წ. „თარგუმები“ ნაინც. ახლა ვაჩვენოთ თანმხვედრი ადგილები ორივე თხზულებაში.

1. ევსტათი ეუბნება მარზპანს: „მაშინ მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამოდ და ეს მისი იესუ ქრისტე და სული წმიდაა მისი და ამით ნათელმილებიეს“. ბერე ზოგადად გადაავლებს თვალს იმას, რასაც, არისტიდეს აპოლოგიით, აღმერთებენ ბარბაროსნი, და ასკვნის, რომ ყველაფერი ეს ღმერთი კი არაა, არამედ მისი ქმნილება. „ღმერთმან, რომელმან ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, მზე და მთოვარე და ვარსკულაენი, ზღუაჲ და ჯმელი, მდინარენი და ძესაკრებელნი წყალთანი, მკეცნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ცისანი და

¹ ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია I², 482—490. სომხეთში ის გამოყენებულია თავის ნაწარმოებში მეხუთე საუკუნის (თუ შემდეგი დროის?) მწერალს ეზნიკ კოლბელს (А. С. Е. г. я. н. М., История древнеармянской литературы I, 142), ლ. მელიქსეთ-ბეგო, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 45.

² Das Martyrium des heiligen Eustathius von Mzcheta (Sitzungsberichte der königl. preuss. Academie der Wissenschaft. Zu Berlin, XXXIII, 1901). მეტი რომ არ ვთქვათ, გაუგებრობაზეა დამყარებული ყველაფერი ის, რასაც ამ თხზულებისა და ესტატეს პიროვნების შესახებ ლაპარაკობს შ. ხიდაშელი თავის შრომაში „ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან“, გვ. 48—49.

მერმე კაცი შექმნა ღმერთმან, და მას ყოველსა ზედა უფალ ყო იგი, და ყოველი ესე დაამორჩილა კაცსა მას, და ჩუენ ამის ყოველისა შემოქმედი ღმერთი დაუტეოთ და ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმერთად ვხადოდითა? ნუ იყოფინ ესე!¹ ასევეა საქმე წარმოდგენილი აპოლოგიაშიც. არისტიდე ეუბნება იმპერატ. ადრიანეს: „Я, о царь, созданный божественным провидением, вступил в этот мир и, видя небеса и землю и море, солнце и луну и звезды и все твари, восхищенный удивился строю века сего. И, вникнув, узнал я, что мир и все, что в нем, управляются и движутся необходимостью и силою и что зиждигель и правитель всего бог... Стихи тленны, они вызваны из небытия повелением истинно сущего бога“.

მარტვილობაში სტიქიონნი და მოვლენანი, რომელთაც თაყვანსა სცემენ ბარბაროზნი, უფრო მეტი რაოდენობითაა ჩამოთვლილი. ვიდრე აპოლოგიაში; უკანასკნელში ნათქვამია: „და სხვანი“. მარტვილობაში ეს „სხვანი“ ჩამოთვლილია.

2. შემდეგ ორსავე თხზულებაში ნაჩვენებია გაღმერთებული სტიქიონების კერძო სახეობანი. მარტვილობით: „მზს და მთოვარს და ვარსკულავენი არა ღმერთ არიან. არამედ ღმერთმან მზესა განათლებაჲ დღისაჲ უბრძანა და მთვარესა და ვარსკულავეთა განათლებაჲ ღამისაჲ უბრძანა, ხოლო ღმერთ არა არიან. ღმერთმან-ღა ღრუბელსა უბრძანის და მოეფინის, ბრწყინვალეებაჲ მზისაჲ და მთოვარისაჲ დააბნელის. მზს და მთოვარს ამისთვის არა ღმერთ არიან“ (გვ. 53). აპოლოგიაში ამისი შესატყვისი ადგილი ასე იკითხება: „Заблуждаются счисляющие богом небо со всеми светилами и звездами, которые движутся по непреходящим законам, небо не есть бог. И считающие божеством солнце жестоко ошибаются, ибо мы видим, что оно вращается, переходя от одного места к другому, и снова восходит, чтобы оживлять деревья и растения, служащие для употребления людей“. ქართული მარტვილობა ხაზს უსვამს მნათობთა შორის მთვარესაც (ეს შეიძლება ქართული მთვარის კულტიტაც იყოს ნაკარნახევი), აპოლოგიაში კი იგი ნაგულისხმევია სიტყვებით „со всеми светилами“. მზის არაღმერთობა დამტკიცებულია ქართულში ნასზე ღრუბლის გავლენით, რაც აპოლოგიის ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში ამოვარდნილია, სამაგიეროდ აქ ნაჩვენებია მზის ფუნქციები და მნიშვნელობა, რაც, უნდა ვიფიქროთ, არ იყო აპოლოგიის იმ ტექსტში, რომლითაც მარტვილობის ავტორი სარგებლობდა.

3. ცისა და მნათობთა გარდა აპოლოგიაში ჩამოთვლილია კიდევ მრავალი სხვა სახე სტიქიონისა, რომელნიც არისტიდეს არ მიაჩნია ღმერთად. ევსტათის მარტვილობის ავტორი აქედან შეჩერებულა ერთზე—ცეცხლზე. რადგანაც მისი მიზნისათვის, მზისა და მნათობების შემდეგ, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო სწორედ ეს იყო. ის ამბობს: „მერმე კულად ცეცხლი არა ღმერთ არს, მით, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზნის და კაცმანვე დაშრიტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, ამისთვის არა ღმერთ არს“.

¹ ს. ყუბანეი შვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 52—53.

ცეცხლი. თუ ვისმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰმართის, გინა ტყესა, გინა ველსა, გინა სახლსა. თუ კაცი დახუდის, და-ვე-წვს. ხოლო ცეცხლსა-ღა წყალი მიეახლოს. ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისა დაშრიტის, და უჩინო იქმნის ცეცხლი იგი. ამით არა ღმერთ არს: ხოლო ჩუენ ღმერთი გურწამს, ღმერთმან. ცეცხლი სამსახურებელად მოგუცა, ყინულისა განსატფობელად და ყოვლისა სანოაგისა საქმარად. და. ოდეს გვნებს, დაეშრიტოთ, ესრჷთ არა ღმერთ არს. ცეცხლი იგი“ (გვ. 53). ამისი შესატყვისი ადგილი აპოლოგიაში ასე იკითხება: „Заблуждаются также считающие богом огонь, так как огонь создан для удовлетворения нуждам людей, он находится в их распоряжении, будучи переносим с места на место и употребляем для жарения и варения различного мяса, равным образом для сожжения трупов. Он также уничтожается разными способами и тушится людьми. Поэтому и огонь нельзя считать богом, но его творением“ (Migne, PG, t. 96, col. 1109 CD). როგორც ვხედავთ, მარტვილობის ავტორი ძალიან ახლოს დგას თავის წყაროსთან, თუმცა ოდნავი განსხვავება მათ შორის მაინც შეიმჩნევა: მარტვილობის ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ცეცხლის სიმძლავრეს, რათა მით უფრო მკვეთრად გვაჩვენოს მისი სისუსტე, აპოლოგეტი კი უფრო აძლიერებს ცნცხლის გამოყენებას. ადანიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

4. არისტიდე, ახასიათებს რა წარმართების, კერძოდ ელიზობის, რელიგიის ზნეობრივ მხარეს, ამბობს: ისინი, ელინები, „про некоторых из богов рассказывают, что они входили в преступные связи с матерями, дочерьми и сестрами... они сочиняют сказки про насуществующих богов, чтобы, следуя дурным своим влечениям, иметь их сообщниками в дурном и безнаказанно прелюбодействовать, убивать и все ужасное делать... Люди, подражая своим богам, сделались прелюбодейми, осквернявшимися с матерями и сестрами, мужеложцами и отцеубийцами“. ეს ადგილი აპოლოგიისა მარტვილობის ავტორს ასე გამოუყენებია: „მერმე ღმრთისა. შექმნულნი კაცნი საცხოვართა პირუტყუთა მამლობასა და დედლობასა არა იციან მშობელი, არცა შობილი მათგანი და ეგრეთ აღრეულად გარდაიგადიან მამლობაჲ და დედლობაჲ მათი და ეგრეცა ჩუენ კაცნი პირმეტყუელნი მათ პირუტყუთა მსგავს ვიყვენით, რომელთა არა ვიცოდეთ მშობელი თვისი, გინა. შობილი, და აღრეულად გარდავიგადით ბუნებაჲ იგი ჩუენი“ (53).

5. ევსტათის მარტვილობაში კერპთაყუანისმცემლობის განქიქება თავდება ასე: „ხოლო აწ მადლითა ღმრთისაჲთა ვინაჲთგან იქმნა ნათლისღება. და რჩული ქრისტიანობისა იციედ კაცთა, მიერთგან დაიგნა და განქარდა. უწესოჲ იგი საქმჷ... (ამის შემდეგ ტექსტს აკლია). აპოლოგიაში შესატყვისი ადგილი მოთავსებულია იმ აბზაცში, სადაც ქრისტიანობის შესახებაა ლაპარაკი: „Когда сын высшего бога сошел с неба ради спасения человека, явился людям, чтобы освободить их от соблазна многобожья, и совершил дивное свое намерение“. მერე აქ ნაჩვენებია ქრისტეს ამ ქვეყანაზე ცხოვრების მთავარი მომენტები და დახასიათებულია ქრისტიანობის მორალური მხარე. ალბათ ყველაფერი ეს იყო ევსტათის მარტვილობის დაკარგულ.

ნაწილშიაც. ყოველ შემთხვევაში მთავარი მომენტები ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებისა აქაცაა მოცემული, მხოლოდ უფრო წინ, სამოელ არქიდიაკონის პირით (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I გვ. 50—52, თავი მეექვსე).

6. აპოლოგიაში ლაპარაკია ებრაელთა შესახებაც, გადმოცემულია მოკლედ მათი ისტორია და დახასიათებულია მათი რელიგია. ამის შესატყვისი ნაწილი უნდა იყოს გადმოცემული მარტვილობაში სამოელ არქიდიაკონის პირით, რომელიც მოკლედ მოგვითხრობს ბიბლიურ ისტორიას ებრაელთა შესახებ (49—50, თ. 5).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორს ხელთ ჰქონია არისტიდეს ფილოსოფოსის აპოლოგია. მას ის კი არ უთარგმნია, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ გამოუყენებია, როგორც წყარო, წარმართობის, კერძოდ მაზდეიანობის განსაქიქებლად. ამ შემთხვევაში ის ორ მიზანს აღწევდა: ებრაელთა როგორც ცეცხლთაყვანისმცემლობას,—ამ ბრძოლას მაშინ აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა ეროვნულ-კულტურული ცხოვრებისათვის,—ისე წარმართობის,—ასტრალური კულტის, გადანაშთებს, რომლებიც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ძლეული ჩვენში არც მაზდეიანობის, არც ქრისტიანობის მიერ. როგორც არ უნდა იყოს, გამოყენება მეექვსე საუკუნის ქართულ მწერლობაში არისტიდეს აპოლოგიისა. რომელსაც ამ დროს დაკარგულადაც კი თვლიდნენ. არის ფაქტი დიდი ისტორიულ-ლიტერატურული და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობისა. გამოყენებული თავისებურად, ქართულ სინამდვილესთან შეგუებით, ის მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენი წინაპრებისათვის იმ დროს უცხო არ იყო მიღწევები ბერძნული აზროვნებისა, რომლებითაც ქრისტიანობა ცდილობდა განემტკიცებია თავისი მდგომარეობა და შესაფერი ადგილი მოეპოვებია მსოფლიოში.

4

მეორე ორიგინალური ქართული თხზულება, რომელშიაც მოცემულია ანტიმაზდეისტური პოლემიკა, არის აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობა“. ვიდრე ამ თხზულებას განვიხილავდეთ, ჩვენ უნდა შევჩერდეთ მეცხრე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის თხზულებაზე, რომელსაც „ხრონოგრაფი“ ეწოდება¹. ამას ჩვენ გვიკარნახებს ორი მოსაზრება: 1. როგორც ქვემოთ დავინახავთ, „ხრონოგრაფი“ ერთერთი წყარო ყოფილა აბიბოსის „მარტვილობისა“. 2. მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება დიდი ხანია მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრშია, მისი წყაროები, K. Krumbacher-ის სიტყვით², ჯერ კიდევ საჩიებელია. მართალია, ამ მხრივ დიდი ამაგი დასდო მას რუსმა მეცნიერმა ს. შესტაკოვმა³, მაგრამ ამომწურავად თავის

¹ ქართული მისი თარგმანი, შესრულებული მე-12 საუკუნის დამდეგს არსენ იყალთოელის მიერ, გამოსცა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა (ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა) 1920 წელს. ციტატები მოვეყავს ამ გამოცემიდან.

² Geschichte der byzantinischen Literatur. S. 354, 1897.

³ О происхождении в составе Хропикн Георгия монаха (Ученые записки Казанского университета, 1891 г. Сентябрь-Октябрь).

'მრონას ისიც კი არ თვლის. თუ ამ ხაზით ჩვენს წვლილს შევიტანთ სარკვევ საკითხში, ეს საკმაო საბუთი იქნება, რომ იმაზე მოკლედ მაინც შევჩერდეთ.

კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის შესახებ, რაც მთავარი თემაა არისტიდესი, გიორგი ამარტოლიც ლაპარაკობს. გიორგი, ქართული თარგმანით. ასე იწყებს ამის შესახებ მოთხრობას: კერპების „განქიქებასა მსახურთაცა და სამსახურებელთასა ყოვლით კერძო საღმრთოესა წერილისა და ღმრთივ-სულიერთა მამათა და მოძღუართა წიგნებისა ვრცლად განფენილად ვჰპოებთ“ (გვ. 22,6—8). მაშასადამე, გიორგისავე სიტყვით, თავისი ტრაქტატის შედგენისას მას ხელთ ჰქონია „ღმრთივ-სულიერთა მამათა და მოძღუართა“ წიგნები. ამ წიგნებს შორის იმაში ნათლად ჩანს კვალი, მაგალითად, „ბალაგარიანის“ ბერძნული რედაქციისა (თუ, რასაკვირველია, „ბალაგარიანი“ მართლა იოანე დამასკელს ეკუთვნის, როგორც ამას დაჟინებით უსვაბენ ხაზს უკანასკნელი წლების სამეცნიერო ლიტერატურაში¹). აი ამისი დამადასტურებელი ფაქტი: იწყებს რა საუბარს კერპთაყვანის წარმოშობის შესახებ, გიორგი 'მენიშნავს: „ხოლო სერუქ... დაიწყო პირველად საწარმართოთა სჯულთა. რათა ძუელ საღმე ყოფილთა მბრძოლთა ანუ მთავართა, ანუ მოქმედთა სიმწნითისა რაჟსმე სათნოებისა და მოვსენებისა ღირსთა საქმეთასა ძეგლებითა კაცის სახეებითა პატივ-ეცემებოდის, ვითარცა კეთილსა რაჟსმე მოქმედთა, ხოლო შემდგომად გამოჩინებულნი კაცნი უმეცარ იქნენს განზრახვასა პირველისა მის მამისა მათისასა, ვითარმედ ვითარცა პირველთა მამათა და კეთილისა რაჟსმე საქმისა მომგონებელთა პატივ-სცემდა საჯსენებელსა მათსა, ამისთვს ვითარცა ღმერთთა ზეცისათა პატივ-სცემდეს და ჰმსახურებდეს მათ და არა ვითარცა კაცთა მოკუდავთა“². ეს ამოღებულია იოდასათის მოძღურებიდან თედმასადმი: „Говорят, что Серух первый начал ставить различные изображения, которые подали повод развиться идолопоклонству. Именно, он имел обыкновение ставить в честь людей, отличившихся храбростью и другими какими нибудь качествами или делами, заслуживающими внимания, и статуи или памятные столбы. Такой же характер носили эти статуи при его современниках. Но последующие поколения, не уразумев их истинного назначения, ... стали смотреть на эти статуи как на изображение своих богов, обожая, таким образом, таких же смертных, какими они были самы, совершая пред этими изображениями жертвоприношения и возлияния“ (Migne, PG. t. 96, col. 1186 C—1169A. ეს ადგილი მოიპოვება იოანე მალალას „ხრონოგრაფშიც“, 53,15—54,12, მაგრამ აქ უფრო ვრცლადაა ეს მოცემული).

უფრო მნიშვნელოვანია გიორგის „ხრონოგრაფში“ გამოძახილი არისტიდეს აპოლოგიისა. მართალია, ის ადგილები „ხრონოგრაფისა“, რომლებშიაც

¹ F. Dölger, Byzantion, XX, p. 310, 1950, Брюссель.

² ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 21,29—22,6. ბერძნული ტექსტი—57,15—58,2; ვსარგებლობთ უკუაგისი და უახლესი გამოცემით, რომელიც ეკუთვნის Car. de Boor-ს, 1904 წ. (Georgii monachi Chronicon). ბერძნულში აღნიშნული სიტყვების შემდეგ მოყვანილია ათანასე ალექსანდრიელის საკმაოდ გრძელი ციტატა, რაც ქართულში არაა (58,5—59,13).

ჩვენ ეს გამოძახილი გვესმის, პარალელს, არც ისე ზუსტსა და სიტყვა-სიტყვით, სხვადასხვა საეკლესიო მწერლის (ათანასე ალექსანდრიელი¹, თეოდორიტე კვირელი², ნონე³. პალადი ელენეპოლეელი⁴) თხზულებებში პოულობენ⁵, მაგრამ, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, არა მეტს, ვიდრე არისტიდეს აპოლოგიაში.

გიორგის „ხრონოგრაფში“ განქიქებულნი არიან, როგორც აპოლოგიაში, ქალდეველნი, ელინნი და ეგვიპტელნი. აპოლოგიას გვაგონებს არა მარტო მაგალითები და სახელები. ხშირად ფრაზებიც. მხოლოდ „ხრონოგრაფში“, რომელსაც გამოუყენებია არა მარტო აპოლოგია, არამედ სხვა წყაროებიც, ეს საერთო ადგილები უფრო გაერცობილია.

რაც დრო გადიოდაო, ნათქვამია „ხრონოგრაფში“, მით უმეტეს ვრცელდებოდა კერპთმსახურება. პატივი და დიდება მიაჩემეს ცასა და მზეს. მთავარესა და ვარსკვლავებს, ეთერსა და ჰაერს, ნივთთა ოთხ სტიქიონს, აგრეთვე ადამიანებს—ცოცხლებსა და მკვდრებს, ოთხფეხთა და ქუეწარმავალთ ხმელეთისა და წყლისას (de Boor, 59,13—60,5). აქ ჩამოთვლილია ყველაფერი ის, რასაც, აპოლოგიითაც, აღმერთებდნენ ქალდეველნი.

უფრო მეტიც, განაგრძობს „ხრონოგრაფი“, ზოგნი აღმერთებდნენ და თაყვანსა სცემდნენ გენოთმოყვარებასა და გულისთქმას, რომელსაც აფროდიტეს უწოდებდნენ. აგრეთვე ძევს, ერმის, დიონისეს, იმპერ. აღრიანეს მონას ანტინოეს, პოსეიდონს, აპოლონს, ჰეფესტოსს, ირას, დემეტრას, ათინას. არტემიდას. ყველა ესენი სიბილწისათვის მათისა იქმნენ გაღმერთებულიო. მერე ჩამოთვლილია ამ სიბილწეთა სახე, რაც ამა თუ იმ ღმერთის სახელთანაა დაკავშირებული (de Boor, 60,5—64,19). აქ გამეორებულია თითქმის ყველაფერი ის, რაც აპოლოგიაში ნათქვამია ელინთა ღმერთებისა და მათი სიბილწის შესახებ.

„ხრონოგრაფში“ ლაპარაკია კერძოდ. როგორც აპოლოგიაში. ეგვიპტელებს რელიგიის შესახებაც. აქ ნათქვამია: „მეგვიპტელნი პატივის-სცემდეს წყალსა და ღმერთად სახელს-დებდეს, რომელთა შორის ესოდენ აღემატა კერპთმსახურებაჲ უმეტეს ყოველთა წარმართთასა, ვიდრელა არა ხოლო ჯართა და ვაცთა და ძაღლთა და ციღამტკაველთა ჰმსახურებდეს, არამედ ნიორსაცა და ხახუსა და სხუათა ფრიად უნდოთა მხალთა ღმრთად სახელს-დებდეს და თაყუანის-სცემდეს სიმდიდრითა უღმრთოებისაჲთა“ (ყაუხჩიშვილი. 25,1—6: de Boor, 64,1—6). ეს გამეორებაა არისტიდეს აპოლოგიის შემდეგი სიტყვებისა, რომელნიც „ბალავარიანის“ ბერძნულ რედაქციაში იკითხება: „Египтяне были в этом отношении еще глупее и бессмысленнее и заблуждались больше всех народов... Они ниже всех народов, ибо обожают неразум-

¹ Contra gentes და De Incarnatione Verbi (Migne, PG. t. 25).

² Migne, PG. t. 80.

³ Migne, PG. t. 36 (Комментарии на слова Григория Назуанзена).

⁴ Lausiana (Migne, PG. t. 65).

⁵ Проф. С. Шестаков, Op. cit. стр., 7—13.

ных бессловесных животных, земных и морских, а также различные растения. Одни из них считают богами овец, другие козлов, третьи быков, четвертые свиней, иные ястребов или соколов, или орлов, иные крокодилов или обезьян; иные собак, волков, драконов, аспидов; иные же лук, чеснок, шиповник и другие растения.“ (Migne PG t. 96, col. 1117 BCD). ეს ადგილი იკითხება აგრეთვე პალადი ელენებოლელის „ლავსაიკონში“ (თავი 52, პერ: 'Απολλῶ)¹, მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, რომ ის უფრო ახლო იდგეს გიორგის ტექსტთან, ვიდრე არისტიდესთან.

ქარის გაღმერთების შესახებ „ხრონოგრაფში“ ვკითხულობთ: „კუალად ზღუაჲ და გარემოჲს ყოვლისა სოფლისა მომვლელი იგი დიდი ოკეანოსი ქარისა მიერ აღიძრვის და მიითხევის, ვინაჲ-კერძოცა მიჰბეროს იმულებამან ქართამან. ხოლო ქარნი არა თავთა შორის თვსთა, არამედ სიტყვსაებრ მათთვს ბუნებათმეტყუელთაჲსა, ჰაერისა მიმართ ქმნილისა მისგან შენწუელობისა ეთერისა სიცხეთაჲსა, თვთ მათ ჰაერსა შინა მიუღიეს მათ ყოფაჲ და მის მიერ ყოვლით-კერძო ქრიან“ (ყაუხჩიშვილი, 27,5—10; de Boer, 67,21—68,5). ეს ადგილი, რომელიც ლაპარაკობს ქარის შესახებ, რათა გვაჩვენოს, რომ ქარი არაა ღმერთი, გვაგონებს აპოლოგიაში ქარის შესახებ ტრაქტატს: Не менее ошибаются также и те, которые за божество принимают веяние ветров, ибо очевидно, что оно служит другому и даровано богом на употребление людей, служа для плавания кораблей, произрастания хлебных злаков и удовлетворения прочих людских нужд. Оно усиливается и ослабевает по повелению бога, посему пусть не думают, что дуновение ветров есть бог“. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ „ხრონოგრაფი“ ხაზს უსვამს ქარის ბუნებას, აპოლოგია კი—მის მნიშვნელობას ადამიანისათვის, დასკვნა კი ორივეში ერთია. „ხრონოგრაფში“ ნათქვამია, რომ ბუნების სტიქიონები და მოვლენები ერთმანეთს ებრძვიან და სპობენ, ამის გამო ავტორი კითხულობს: „ვითარ ღმერთ იყვნენ ესენი, ურთიერთასისა შეწევნისა მოქენენი და ურთიერთას დაუგებელად მბრძოლნი, და სახელსა ღმრთობისასა ღირს იყვნენ? რომლისათვს განცხადებულად ჩანს, ვითარმედ არცა მზე, არცა მთოვარე, არცა სხუაჲ რაჲმე დაბადებულთაგანი... არს ღმერთ“ (ყაუხჩიშვილი, 27,18—31; de Boer, 68,5—23). ეს იგივეა, რაც აპოლოგიის შემდეგი სიტყვები: „Если боги гонимы богами и терпят заклятие, расхищение и сожжение, значит у них не одна природа, но у них разные воли. Отсюда заключение: никто из них не бог“.

ნათქვამიდან ცხადია, რომ გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფში“ სხვადასხვა საეკლესიო მწერალთა თხზულებების მეშვეობით და მათ გვერდით,

¹ Проф. С. Шестаков, Op. cit., стр. 8—9. სიტყვები „ნიორსა და ხახუსა“. „პალავარიანში“ იკითხება ასე: ἄλλοι τὸ κρόμμον καὶ τὸ σκόριδον καὶ ἄκανθα, ხრონოგრაფსა და ლავსაიკონში კი: ἄλλα καὶ σκόριδα καὶ κρόμνα καὶ πολλὰ ἄν εἴτελῶν λαχάνων. ეს სიტყვები შეუტანია თავის შრომაში თამარის პირველ ისტორიკოსსაც; ის ამბობს: „არამეცნაერნი და დამტევებელნი ღმრთისანი უხორციდეს კერპთა, ხახუსა და ნიორსა და ჭინჭარსა“ (ქართლის ცხოვრება, მარიამისეული რედაქცია, გვ. 485. ბ რ ო ს ე ს გამოცემა, I, 313).

გამოყენებულია აგრეთვე ფილოსოფოს არისტიდეს აპოლოგიაც. ეს მოულოდნელიც არაა: ვერც ერთი მწერალი, რომელიც წარმართობის განქიქებასა და ქრისტიანობის დაცვას დაისახავდა მიზნად, გვერდს ვერ აუვლიდა არისტიდეს კლასიკურ აპოლოგეტიკურ-პოლემიკურ თხზულებას, თუ. რასაკვირველია, მისთვის ხელმისაწვდომი იყო იგი.

ახლა დავეუბრუნდეთ აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობას“.

5

აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ თავდაპირველი, ე. წ. „კიმენური“ რედაქცია დაუწერია, როგორც ცნობილია¹, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში კათოლიკოსს არსენი დიდს, საფარელს. სამწუხაროდ, ეს შრომა არ შენახულა იმ სახით, როგორითაც ის არსენის ხელიდან გამოვიდა; დაახლოებით მეთორმეტე საუკუნის ნახევარში ის გადაუკეთებია და გადაუმუშავებია. იმ დროს გაბატონებული ლიტერატურული გემოვნებისა და მიმართულების შესაბამისად, ნეკრესის რომელიღაც ეპისკოპოსს, რომელიც ამბობს: „ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვსაჲ. ჩემისა ამისაგან საყდრისა ნაყოფი შეენიერი. მხიარულებისა ჩემდა მოძლებელი“. (საქართვ. სამოთხე, გვ. 213). გადამკეთებელს, მეტაფრასტს, თავდაპირველი რედაქცია „მარტვილობისა“ ალაგ-ალაგ შეუმოკლებია. ზოგი რამ დაუმატებია მისთვის, მაგალითად, თავში შესავალი. ბოლოში ეპილოგი და შუაში მსჯელობა იმის შესახებ, რომ ცეცხლი არაა ღმერთი².

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ეს უკანასკნელი მსჯელობა, რამდენადაც იმაში გვაქვს ფილოსოფიური დასაბუთება ანტიმაზდეისტური პოლემიკისა.

ეს ადგილი თხზულებისა, როგორც მთელი თხზულება, ძალიან დამახინჯებულია ხელნაწერებში, რომელნიც მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნიან (უფრო ადრინდელში ეს ადგილი, ფურცლების დაკარგვის გამო, არ შენახულა), აქედან მ. საბინინის გამოცემაშიც (საქართვ. სამოთხე, გვ. 213—216). ჩვენ წინასწარ მოგვიხდა ამ ადგილის კრიტიკულად დადგენა ყველა, დღეს ცნობილი ხელნაწერის მიხედვით. ამიტომ მოვიყვანთ ამ ადგილს აღდგენილი სახით. აი ეს ადგილი:

„ჭრქუა მას (აბიბოსს) მარზაპანმან მან: „რაჲსათჳს უარჳყავ უფლებად მეფეთ-მეფისაჲ და მოჰკალი ღმერთი ჩუენი?“ მიუგო აბიბოს და ჰრქუა: „მე არაჲინ ვიცი მეფეთ-მეფე, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი დაეშრიტე, რათამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ, რათა განეყენნეთ უნდოსა მას მსახურებასა და ღმერთი მხოლოდ იცნათ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი, და მას მხოლოსა მსახურებდეთ“... ჰრქუა

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I³, 124—125.

² შ. ხიდაშელს, რომელიც ვერ ერკვევა აბიბოს ნეკრესელის ვერც ძველსა და ვერც ახალ რედაქციაში. თავი ვერ დაუღწევია ძველი ტრადიციისაგან და თავამოდებით იცავს ი. ჯავახიშვილის მიერ 1928 წელს გამოთქმულს მოსაზრებას, რომ აბიბოს ნეკრესელის „მეორადი“ რედაქცია დაწერილია IX—X საუკუნეში (OP, cit., გვ., 56).

მას მარზაპანმან: „მე გკითხავ, რაღსათვს მოჰკალ ღმერთი ჩუენი, და შენ გნებავს, რათამცა შენისა ღმრთისა წარგვიყვანნე?“ ხოლო ნეტარმან აბიბოს ჰრქუა: „უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მონიკლავს, ხოლო ცეცხლი დავშრიტე; არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგანი მცირედი ნაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ეგე. განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიაჲ, ცივი, ჳმელი და ცეცხლი, რომელთა ერთი-ერთისა მპყრობელობაჲ აქუს სიმრგულესა მას შინა. ესრეთ განსწორებითა ნაწილთაჲთა დგანან ესენი, და უკუეთუმცა ერთი მეორესამცა აღემატა, გან-ცა-ქარდა მეორე იგი. ხოლო თქუენი იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებითისა ნაწილ არს ჳმელითა და წუითა, აღდგომილი შეშისა კამითა მყოვარ ჟამიერ. ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროჲს მისა იპოვა წყალი იგი. აწ მიკვრს თქუენი ესევეითარი სიცოფე, ვათარ არა სირცხვლეულ გიჩნს მისი სახელდებაჲ ღმრთად, რომელსა სული არა აქუს, რამეთუ თქუენი ესე ცეცხლი თქუენდავე მონა არს და კერპთა შეურაცხისმყოფელთა ვერვის ხედავს. უკუე თუ ღმერთი არს ეგე? თქუენ იტყვთ, რამეთუ ოდესმე თქუენსავე სოფელსა განმზადეთ მსახურებაჲ მის კერპისაჲ, რომელ-იგი ჰქმენით ოქროჲსაჲ. სატანჯუელად განმზადებულსა მას თქუენ მიერ მაშინდელსა აწ ღმერთი ეწოდების?“¹.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შევჩერდეთ საკითხზე: ეს აღგილი „მარტვილობის“ ძველი რედაქციის, არსენი კათოლიკოზის, კუთვნილებაა, თუ ის შემდეგაა ჩამატებული მეტაფრასტის მიერ, ისე, როგორც დაუმატებია მას მისთვის შესავალი და ბოლო ნაწილი? ჩვენ გვგონია, რომ ის მეტაფრასტის ნახელავია. ამისი საბუთები: 1. კონტექსტი პაექრობისა: აბიბოსი ეუბნება მარზაპანს: მე დავშრიტე თქვენი ცეცხლი, ის არ არის ღმერთი. ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა გაგრძელება: „მაშინ განრისხნა მარზაპანი იგი მეფისაჲ“ და ბრძანა აბიბოსის დასჯა. მეტაფრასტს კი ამ სიტყვებს შუა ჩაუსვამს მთელი ფილოსოფიური ტრაქტატი ცეცხლის შესახებ, რაც აუცილებელი არაა. 2. გიორგის „ხრონოგრაფი“ დაწერილია 866-7 წლებში². არსენი დიდი კათოლიკოსად ჩანს დაახლოებით 860—887 წლებში. იწელია ვიფიქროთ, რომ რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში იმდენად ცნობილი გახდა „ხრონოგრაფი“, რომ მან მოაღწია ჩვენამდე და არსენ დიდმა ის გამოიყენა კიდევაც. 3. საანალიზო ტრაქტატი რომ მეტაფრასული პერიოდის ძეგლია, ჩანს მისი ენისა და სტილისაგან, რომელიც ატარებს მე-11—12 საუკუნეთა დოგმატიკურ-ფილოსოფიური თხზულებების სტილისა და ენის ხასიათს. ეს ჩანს ისეთი სიტყვებიდან, როგორიცაა: „ბუნებათაგანი ნივთი“, „აღმართა“ (გააკეთა, შექმნა), „განსწორებით“, „მპყრობელობა“, „სიმრგულე“, „დგანან“.

¹ უკანასკნელი სტრიქონები ამ ტრაქტატისა გულისხმობს დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში (თავი მეორე) მოთხრობილ ამბავს. შ. ხ ი და შე ღ ლ ი თავის ზემოთ დასახელებულ შრომაში ვყრდნობა ტექსტის გაუმართავ რედაქციას, რომელიც შემდეგი დროის დამახინჯებას წარმოადგენს (გვ. 75—76).

² K. K r u m b a c h e r, Geschichte der byzantinischen Literatur, S. 352. 1897..

(არსებობენ, არიან), „აღდგომილი“ (მდგომარე, არსებული), „უკუე თუ“ (ნუთუ) და სხვ. როგორც უნდა იყოს, მივაკუთვნებთ ამ ტრაქტატს მეცხრე საუკუნის არსენის თუ მეთორმეტე საუკუნის მეტაფრასტს, ყოველ შემთხვევაში ის აბიბოს ნეკრესელს პირადად არ ეკუთვნის და ამიტომ, ამ ტრაქტატის მიხედვით (სხვა მონაცემი კი არ მოგვეპოვება), აბიბოსს „ქართული ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენლად“¹ ვერ მივიჩნევთ.

რას წარმოადგენს ეს ტრაქტატი, საიდანაა შეთვისებული ის პოლემიკური მეთოდი, ის აზრები და დებულებანი, რომელთაც იმაში ვპოულობთ? ყველაფერი ეს ატარებს, ზოგადად, რასაკვირველია, არისტიდეს აპოლოგიის იერს და მომდინარეობს იქიდან, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ მეშვეობით, რომელიც ქართულად ითარგმნა რამდენიმე ათეული წლით ადრე, ვიდრე აბიბოსის მეტაფრასული „მარტილობა“ დაიწერებოდა².

„მარტილობის“ ეს ადგილი რომ „ხრონოგრაფზე“ დამოკიდებული. ეს შემდეგიდან ჩანს.

გიორგი ამარტოლი ჯერ გამოთქვამს შემდეგს ზოგად დებულებას: თუ ვინმემ „მჭურვალე და გრილი და კმელი და ნოტიოა არსებაჲ განყვნეს ურთიერთისა შეზავებულებისაგან და თითოეული მოილოს თავით თვისით და თვისაგან განიხილოს, კპოებს უეჭველად ვერცა ერთსა მათგანსა კმამყოფელად თავისა თვისისა და თვთსრულად. არამედ ურთიერთისა საკმარებისა მოქენედ და ერთსა მეორისა შემწეობითა შემტკიცებულად“ (ყაუხჩიშვილი, 26,24—26; de Boor, 67,1—21). ეს ზოგადი დებულება შემდეგ დანაწილებულია ასე:

მარტილობა

„ცეცხლი სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგანი მკირედი ნაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ეგე“, ესენია: „ნოტიოჲ, ცივი, კმელი და ცეცხლი“.

ხრონოგრაფი

ბუნებაჲ ჯორციელთა გუამთაჲ შემტკიცებულ არს ოთხთა ვიდრემე ნივთთაგან; მჭურვალისა და კმელისა, გრილისა და ნოტიისა არსებისა“ (ყაუხჩიშვილი, 27,11—13; de Boor, 68,5—8).

¹ Папцхава И., Рассмотрение Платоновской философии и Прокла Дподоха, стр. 26, Тбилиси, 1942. სამწუხაროდ, ეს მცდარი აზრი გამეორებულია Большая Советская Энциклопедия-ში, ტ. 1?, 71. მას ბეჯითად იმეორებს აგრეთვე შ. ხიდაშელიც (გვ. 52, 55—56, 75—76 და სხვ.).

² ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოძღვრება ოთხი ელემენტის შესახებ ჩვენში შემოდის X—XI საუკუნეებიდან, შ. ხიდაშელი არ იზიარებს: მას შეეძლო შემოსულიყო ჩვენში წინა დროს ბერძენ მწერალთა თხზულებებიდან თარგმანების მეშვეობით (გვ. 56—57); ის მე ამ შემთხვევაში მიმითითებდა ალბათ გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფზე“, მას რომ მოგონებოდა ის. ამის შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, როდისაა ამგვარი თხზულებები ქართულად თარგმნილი; მეორე მხრით არ უნდა დავივიწყოთ, რომ დასახელებულ მოძღვრებას ადგილი არ აქვს ევსტათი მცხეთელის „მარტილობაში“, სადაც ის ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი.

ამ ოთხს ელემენტს „ერთი-ერთისა მპყრობელობაჲ აქუს სიმრგულესა მას შინა: ესრეთ განსწორებითა ნაწილთაჲთა დგანან ესენი და უკუეთუმცა ერთი მეორესამცა აღმატა, გან-ცაქარდა მეორე იგი“.

თქვენს ცეცხლს, რომელიც ხმელი და მწველია, ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროდს მისა იპოვა წყალი იგი“.

„აწ მიკვრს თქუენი ესევეთარი სიცოფე. ვითარ არა სირცხვლელ გიჩნს მისი სახელდებაჲ ღმერთად, რომელსა სული არა აქუს, რამეთუ თქუენი ესე ცეცხლი თქუენდავე მონა არს, უკუე თუ ღმერთი არს ეგე?“

ეს ტრაქტატი აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობიდან“ ზოგიერთმა მკვლევარმა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში შეიტანა. დამახასიათებელია ამ მხრივ ი. ფანცხავას გამოკვლევა, რომელსაც ეწოდება *Рассмотрение Платоновой философии и Прокла Диадоха*“.

დიდი ნაწილი იმისა, რაც ამ გამოკვლევაში ნათქვამია საანალიზო ტრაქტატის შესახებ, გაუგებრობის შედეგია; ეს აიხსნება იმით, რომ ი. ფანცხავამ ვერ გაიგო ჯეროვნად ქართული ტექსტი, მით უმეტეს, რომ ეს ტექსტი მას ხელში ჰქონდა დამახინჯებული სახით (მ. საბინინის გამოცემა). ამითაა გამოწვეული, რომ მის თარგმანსა და ინტერპრეტაციაში ვხედავთ ისეთ რამეს, რასაც დედანში ადგილი არა აქვს. მაგალითისათვის დავასახელებთ რამოდენიმე უფრო მნიშვნელოვან ადგილს მისი თარგმანიდან, წვრილმანებს არ ვეხებით:

1. „Пролив немного воды на огонь, я умертвил его, так как обрел над ним некоторое противостоящее превосходство (стр. 27). დედნის შესაფერ ადგილში კი ნათქვამია: Я вылил на огонь незначительное количество воды, которая оказалось сильнее его и умертвила его“.

2. „Во множественности мира эти свойства и изменчивость его частей (явлений)... присутствуют в неизменности субстрата“ (стр. 27—28); ამ სიტყვების მსგავსი დედანში არაფერია; დედნის „სიმრგულე“ ნიშნავს არა множественность, არამედ ციურ სიმრგულეს, სფეროს.

ეს ელემენტები „ურთიერთ რა შეი-რინენ და შეიყენენ, აქუს მდგომარეობაჲ და მყოფობაჲ [სიმრგულესა მას შინა], ხოლო თვსაგან რა ურთიერთას განეყენ და თვსით იხილვებოდის თითოეული, ურთიერთას მბრძოლ და დამკსნელ არიან“ (ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, 27,13—16; de Boor, 68.8—10).

„რამეთუ მჭურვალე გრილისა მიერ დაიკსნების და გრილი მჭურვალისა მიერ უჩინო იქნების და ნოტიაჲ ჯმელისა მიერ განკმების... ხოლო ცეცხლსა სიმძაფრე წყლისაჲ დაშრეტს (ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, 27,16 — 17,24; de Boor, 68,10—12, 19---20).

„ვითარ ღმერთი იყვნენ ესენი ურთიერთასისა შეწვევისა მოქენენი და ურთიერთას დაუგებელად მბრძოლნი და სახელსა ღმრთობისასა ღირს იყვნენ“ (ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, 27,18—19; de Boor, 68,12—14).

3. „Огонь является выявлением того, что Присуще ему нестись: вверх через впитывание сухого и холодного из начала“ (სტრ. 28). დედანში ამგვარი არაფერია.

ასეთი თარგმანით ი. ფანცხავას სურს აღმოაჩინოს აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობაში“ არისტოტელეს შემდეგი გამოთქმები: ა) „Природа всегда представляет какой нибудь субстрат и присутствует в субстрате“ (სტრ. 28), ბ) „согласно с природой ведут себя и они сами и все, что присуще им самим по себе, например, огню нестись вверх“ (სტრ. 28).

ამის შემდეგ ჩვენ საბუთი გვეძლევა ეჭვი შევიტანოთ იმ ფილოსოფიური ხასიათის დასკვნების სისწორეში, რომელთაც მკვლევარი აკეთებს, ამგვარი თვითნებური თარგმანით ჩვენ შეგვიძლია საანალიზო ტრაქტატში¹ რომელიც გინდა მოაზროვნის მოძღვრება ამოვიკითხოთ.

როდესაც ამას ვამბობთ, ჩვენ იმის ჩვენება კი არ გვინდა, რომ ეს ტრაქტატი არ განიცდის არისტოტელეს ნატურფილოსოფიის გავლენას; არა, ის უეჭველად შთაგონებულია ამ უკანასკნელით. ამას ნათელყოფს მთელი საბუნებისმეტყველო ნაწილი გიორგის პოლემიკისა (ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. გვ. 22—28; de Boer, 59,17—70,4), რომლიდანაც კუპიურის სახით შესულა აბიბოსის „მარტვილობაში“ სარკვევი ადგილი. არისტოტელის მოძღვრებით. არსებობს თვისებათა ორი წყვილი: თბილი და ცივი, ხმელი და ნოტიო: ამათგან წარმოიშობა ოთხი ელემენტი ან სტიქიონი: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. მაგალითად, ხმელისა და თბილისაგან (აბიბოსის მარტვილობით „ქმელითა და წუითა“) წარმოიშობა ცეცხლი. ამ ელემენტების ნაირ-ნაირი პროპორციით შეერთება წარმოშობს ყოველგვარ ნივთს ქვეყანაზე. ეს იგივეა, რაც აბიბოსის „მარტვილობაში“ შემდეგი განცხადება: „დაბადებულ არიან ნოტიად, ცივი, ქმელი და ცეცხლი“, რომელნიც „განსწორებითა ნაწილთადათა დგანან“. და რომელთაგან „აღმართა ღმერთმან სოფელი ეგე“. იოანე პეტრიწის გადმოცემით, არისტოტელე ამბობს: „ესე ყოველმან უწყის, ვითარმედ მზე რაჲ ქუეშე ქუეყანისა [არს]. ღამე [არს] აქა“². ამ სიტყვებს იმეორებს გიორგი ამარტოლიც: „ვითარ არა ჰხედვენ ღმერთყოფელნი დაბადებულისანი მზისასა უკუე ქუეშე-კერძო ქუეყანისა დასლვასა და ნათლისა მისისა მის მიერ დაფარვასა“ (ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, 27,20—21; de Boer 68,14—17). ამასვე იმეორებს წმიდა წყლის არისტოტელიკი მიტროფანე სწირნელიც: „მზე, ვითარ-იგი ვიეთმე ჰგონეს და მიუთხრესცა, ქუეყანასა ქუეშე განჰვლის და ესრეთ აღმოსავალსა აღმოვალს და ყოველსავე ამას სოფელსა ჩუენსა ნათელთა მიმფენელ ექმნების“³. ალბათ, როგორც გიორგი, ისე მიტროფანე უშუალოდ არისტოტელისაგან კი არ გამოდიან ამ შემთხვევაში. არამედ იოანე დამასკელის „გარდა-

¹ რომელიც ავტორს მიაჩნია მეცხრე საუკუნის არსენის კუთვნილებად (სტრ. 26). ნამდვილად კი, როგორც ვთქვით, მე-12 საუკუნის მეტაფრასტს ეკუთვნის. ეს ადგილი გაკრიტიკებულია შ. ხიდაშელის შრომაში, თუმცა, სამწუხაროდ, ის შორს ვერ წასულა ი. ფანცხავას გაგებისაგან.

² იოანე პეტრიწის შრომები, II, 42,3—10.

³ კ. კეკელიძის გამოცემა, 12,30—13,1.

ნოცენა“-საგან, სადაც ნათქვამია: „ღამე არს მზისა ქუეშე ქუეყანისა დასლვად“ (A 24. 56B).

მოძღვრება ოთხი სტიქიონის ან ელემენტის შესახებ, როგორც ცნობილია. ემპედოკლეს მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრებაა; ეს მოძღვრება საშუალო საუკუნეებს გადაეცა არისტოტელის მეშვეობით. რასაკვირველია, გიორგის „ხრონოგრაფში“, რომლის სათანადო ნაწილი აბიბოსის „მარტვილობაშია“ გამოყენებული. ეს მოძღვრება არისტოტელის მოძღვრების პრიზმაშია გადატეხილი. თუმცა იმაში გადანაშთის სახით თავს უნდა იჩინდეს ემპედოკლეს სიყვარული და სიძულვილი, როგორც საფუძველი ელემენტების ერთმანეთში არევისა ანდა ერთმანეთიდან გამოყოფისა. მართლაც, „ხრონოგრაფში“ ვკითხულობთ: როდესაც ელემენტები სათანადოდ („სრულყოფილად“) არიან „შეხავებულ-შეერთებულ-შენაწევრებულნი“, მაშინ „არცა ცეცხლი ჰბადავს გრილსა, არცა ნოტიად წინაგანეწყობის ჯმელსა, არამედ ვითარცა ძმა რაჟმე და მეგობარ არიან ურთიერთას და მყოფობისა გუამთაჟსა დასაბამ არიან“ (ყაუხჩიშვილი, 28, 15—18; de Boer, 69, 19—22).

ბერძნულმა ფილოსოფიამ გარკვეული დროიდან გამოყენება პოვა ქრისტიანობაში. მეცხრე საუკუნემდე ქრისტიანობაში სკარბობდა არისტოტელე (მოვიგონოთ იოანე დამასკელი და მისი გავლენა), მას შემდეგ თანდათანობით, მეთერთმეტე საუკუნიდან კი განსაკუთრებული სიმახვილით, მას მეტოქეობას უწევს პლატონი, მეთერთმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადახრილა ბიზანტიური აზროვნება არისტოტელის თუ პლატონის მხარეზე. ამით აიხსნება, რომ ამ საუკუნეში ცნობილი არიან აქ როგორც არისტოტელის, ისე პლატონის ფილოსოფიის მებაირახტრენი. მეთორმეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში თარგმანების გზით შემოსულა მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრის ორი მოაზროვნის თხზულება. ერთია „განმარტებაჟ ეკლესიასტისაჟ“ მიტროფანე სმირნელისა (გამოცემულია 1920 წელს კ. კეკელიძის მიერ), რომელიც წარმომადგენელია არისტოტელიზმისა. მიტროფანეს არისტოტელე „გარეშეთა (წარმართთა) ფილოსოფოსთა უმწუერვალესად“ მიაჩნია¹. თითქმის იმავე დროს, როდესაც მიტროფანემ თავისი თხზულება გამოუშვა, ბიზანტიაში გიორგი ამარტოლმა დაწერა (866--867) ჯავისი „ხრონოგრაფი“, რომელიც ულტრაპლატონური ხასიათისაა. პლატონი, გიორგი ამარტოლის სიტყვით, არის „წმადანსმენილი ფილოსოფოსთა შორის“ (ყაუხჩიშვილი, 28, 28; de Boer, 70, 9—10), ანდა „ელენთა ყოველთა უბრძნესი და უაღრესი და უმეტეს სახელგანთქმული“ (ყაუხჩიშვილი 36, 28—30; de Boer, 89, 9—11). გიორგისაგანგებოდ ადარებს ერთმანეთს არისტოტელესა და პლატონს და, როდესაც პლატონს განადიდებს, არისტოტელეს ამცირებს, თითქმის ლანილავს კიდევაც. აი მისი სიტყვები: „რამეთუ უბადრუკი არისტოტელი ჯერეთ სიცოცხლესავე. პლატონისსა ურცხვნოებით წინააღმდგომ ექმნა მას და აკადიმეაჟსა იგი განაწყობ ბრძოლაჟ, და არცა მოძღურობასა პატივსცა, არცა მრავალგანთქმულობისაგან კაცისა მის საქადულობათაჟსა შეკდემულ იქმნა, არამედ ამპარ-

¹ კ. კეკელიძის გამოცემა, 92, XLV—XLVI.

ტავანებით და სილალითა აღუდგა მას, არა უმჯობესთა მისთა, არამედ ფრიად უდარესთა მჭუმეველი სჯულთაჲ. და რამეთუ სულისათჳს მან (პლატ.) უკუესამნაწილობაჲ და უკუდავობაჲ და საწუთობაჲ განაჩინა და მან ვიდრემე ღმრთისა მიერ თქუა განმგებლობაჲ ყოვლისაჲ: ხოლო ამან (არისტოტ.), რაჲოდენ უძლო, განგებულებისაგან საღმრთოჲსა დაკლებულ ყო ქუეყანაჲ. რამეთუ ვიდრე მთოვარისა და მისთანათამდე ხოლო შთამომავალად თქუა უფლისა მიერისა განმგებლობისა ძალი, ხოლო სხუანი ყოველნივე სვეთა და ბედთა და უნებლიეთთა იძულებათა დამორჩილებულად განსაზღვრნა და თვინიერ ნებისა მოქმედად განაჩინნა კაცნი მკვლელობათა და მპარვობათა და სიძვათა სახეთა ამათ უსჯულოებისათა. და სხუანი ფრიად მრავალნი სიჩქურენი დასაჯსნელად მოძღურისა უღმრთოებით და კადნიერებით იძმაცუნასაწყალობელმან“ (ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, 35, 32—36, 13; de Boor, 83, 14—84, 11).

როგორც ვხედავთ, გიორგი ამარტოლი, არისტოტელის უარისმყოფელი და განმაქიქებელი მისი მოძღვრებისა, ნატურფილოსოფიაში მის მოძღვრებას იმეორებს. რით უნდა ავხსნათ ასეთი გაორება მისი პიროვნებისა? ისეთი დიდი პლატონიკოსები, როგორიც იყვნენ მიხეილ ფსელოსი და იოანე იტალი. გინდა თუ ჩვენი იოანე პეტრიწი, რომელიც პლატონს „ღვთაებრივ ფილოსოფოსს“ უწოდებს, ამავე დროს ოდნავადაც არ უგულუბელყოფდნენ არისტოტელეს. მაგალითად, იოანე პეტრიწი მკაცრად აკრიტიკებს არისტოტელის ფილოსოფიის ზოგიერთ დებულებას, მაგრამ ცოდნისა და მეცნიერების დარგში, განსაკუთრებით კი ბუნებისმეტყველებაში, ის, თანახმად საშუალო საუკუნეებში მიღებული ტრადიციისა, არისტოტელის მხარეზეა. ყოველ შემთხვევაში აღარული საკითხი წინამდებარე ჩვენი კვლევის სფეროს სცილდება, ამაზე ფილოსოფიის ისტორიამ უნდა გასცეს პასუხი. ჩვენი მთავარი მიზანი იყო გვეჩვენებია:

1. რამდენადაც ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო პოლიტიკური იარაღი, რომელსაც ირანი იყენებდა ჩვენი წინაპრების ეროვნული გადაგვარების მიზნით, ამდენად ბრძოლა მის წინააღმდეგ იყო აქტუალური საკითხი მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული მეშვიდემდე, თუმცა გადანაშთები მაზდეიანობისა შემდეგაც დიდხანს იჩენდნენ თავს ჩვენს წარსულში.

2. უძველესი დროიდან ჩვენამდე შემონახულა ორი ლიტერატურული ძეგლი, რომლებშიაც გვაქვს პოლემიკა, ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული.

3. ერთია ევსტათი მცხეთელის „მარტვილობა“, რომელშიაც გვაქვს საკმაოდ მოზრდილი დიალოგი ასეთი ხასიათისა; მეორეა აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობა“, რომელშიაც აგრეთვე მოიპოვება ამგვარივე ხასიათის ექსცერპტი.

4. პირველი ეკუთვნის მეექვსე საუკუნის სამოცდაათიანი წლების უცნობ ავტორს; მეორე, აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობაში“ მოთავსებული ექსცერპტი, არ ეკუთვნის მეცხრე საუკუნის ავტორს, არსენი კათალიკოსს, როგორც ფიქრობენ.

5. ეესტათი მცხეთელის „მარტვილობაში“ მოთავსებული ანტიმაზდეისტური ნაწილი საყურადღებოა იმით, რომ იმაში გამოყენებულია უშუალოდ არისტოტელის ფილოსოფოსის (II ს.) წარმართობის, კერძოდ მაზდეიანობის, განნაქიქებელი აპოლოგია, რომელიც მეექვსე საუკუნიდან დაკარგულად ითვლებოდა და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში იქნა რესტავრირებული.

6. აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ პოლემიკური ნაწილი ეკუთვნის მეთორმეტე საუკუნის მეტაფრასტს, ნეკრესის კათედრის რომელიღაც ეპისკოპოსს. რომელსაც გადაუკეთებია ეს „მარტვილობა“.

7. ის არსებითად ამოღებულია გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფიდან“, სადაც მწვავე პოლემიკაა წარმართობის სხვადასხვა სახესთან, კერძოდ ცეცხლთაყვანისმცემლობასთან.

8. ორივე ძეგლის მიზანია დაამტკიცოს, რომ ცეცხლი ღმერთი კი არაა, არამედ ერთერთი „ბუნებითი“ მოვლენაა; ამის სასარგებლოდ მოტანილი საბუთები და მოსაზრებანი არისტოტელის ნატურფილოსოფიის კვალს ატარებენ.